დეპუტატების ხარჯები აღარ დაიბეგრება

ალიონი. დღეს, 15 საათისათვის ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გადაწყდება, განიხილავენ თუ არა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განკარგულების პროექტს „საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური რაოდენობისა და თითოეული მოვალეობის შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“

პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიურ რაოდენობად მიღებულ უნდა იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური რაოდენობის 15%, 397 ლარი.

საკრებულოს წევრის თითოეული მოვალეობის შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალურ ლიმიტად რაოდენობის ფარგლებში განისაზღვრება:

– საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისათვის – 50 ლარი;

– საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის – 50 ლარი;

– საკრებულოს ფრაქციის სხდომებში მონაწილეობისათვის – 50 ლარი;

– დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობისათვის – 50 ლარი;

– ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრებისათვის – 50 ლარი;

– ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მიღებისათვის – 50 ლარი.

ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წელს მიღებული დადგენილება „საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტისა და განსაზღვრის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესაბამისი ცვლილებით, საკრებულოს წევრის ხარჯები არ დაიბეგრება.

ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვეერღელიძე დარწმუნებულია, რომ ბიურო მხარს დაუჭერს აღნიშნული პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას და უახლოეს საკრებულოს სხდომაზე ეს პროექტი განკარგულების სახეს მიიღებს:

„ეჭვიც არ მეპარება, რომ ბიურო მწვანე შუქს მისცემს ამ პროექტს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად და სხდომაზეც საკრებულოს დეპუტატები მხარს დაუჭერენ შესაბამისი განკარგულების მიღებას. ამ ცვლილებებით კიდევ ერთხელ დასტურდება, სწორი იყო ჩვენი, ჯერ კიდევ ახალჩამოყალიბებული საკრებულოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საკრებულოს დეპუტატის ხარჯები არ განეკუთვნება იმ ტიპის შემოსავალს, რომელიც უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით. საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილების შეტანით, პარლამენტმა დროული გადაწყვეტილება მიიღო.

ხსენებული განკარგულების ძალაში შესვლის შემდეგ ადგილობრივი ბიუჯეტი ყოველწლიურად 36 ათას ლარს დაზოგავს“,– თქვა „ალიონთან“ საუბარში **დიმიტრი კვერღელიძემ.**

ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №33 (10123), 17 აგვისტო, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ამჯერად ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ დაიშალა

ოზურგეთის თემთა საკრებულოში ამჯერად ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ დაიშალა.

ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ფრაქციის წევრმა დავით თენი-ეშვილმა 11 აგვისტოს ოფიციალურად მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციიდან გასვლის თაობაზე. საქმე ისაა, რომ ფრაქცია მინიმუმ სამი წევრისაგან უნდა შედგებოდეს, თენიეშვილის წასვლის შემდეგ კი, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ (ხელმძღვანელი შალვა დოლიძე), ორი დეპუტატის ამარა დარჩა და იგი დაიშალა.

დავით თენიეშვილი საკრებულოს დეპუტატი საკრებულოს უხუცესი წევრის, ბატონი ავთანდილ ხინთიბიძის გარდაცვალების შემდეგ გახდა.

გავრცელებული ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, დავით თენიეშვილმა პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ დატოვოს. მასთან სატელეფონო საუბარში კი გაირკვა, რომ მას უკვე დაუტოვებია „პატრიოტთა ალიანსი“ და შესაბამისად შემდეგ გაუკეთებია განცხადება ფრაქციიდან გასვლის თაობაზე:

„ჯერ პარტიიდან გავედი, შემდეგ კი ფრაქციიდან გასვლის თაობაზე გავაკეთე განცხადება, – გვითხრა დავით თენიეშვილმა.

როგორც საკრებულოში განაცხადეს, ფრაქცია დაშლილად ითვლება დავით თენიეშვილის განცხადების რე-გისტრაციის მომენტიდან, რადგან მას აღარ ჰყავს კანონით გათვალისწინებული მინიმუმ სამი დეპუტატი.

ეს უკვე მეორე ფრაქციაა, რომელმაც ბოლო პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირება შეწყვიტა. ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ დაშლამდე იგივე ბედი ეწია ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნულ ფორუმს“, რომელსაც ბონდო ღლონტი ხელმძღვანელობდა.

ტრადიციული დღესასწაული „გომისმთოობა“ გაიმართა

ალიონი „„გომისმთობა“, იგივე „შუამთობა“ უკვე რამდენიმე ათეული წელია იმართება და იგი აჭარაგურია, მესხეთის მობინადრე ორი კუთხის ძმობისა და მეგობრობის დღესასწაულია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ დღესასწაულმა უფრო მასშტაბური სახე მიიღო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ზრუნავს გომისმთის პოპულარიზაციის ამაღლებისთვის და მისი სამთო კურორტად ქცევისთვის, სადაც მომავალში ტურისტები ზაფხულშიც უნდა ამოვიდნენ და ზამთარშიც...

გომისმთით არაერთი მეცნიერი, ბუნების მკვლევარი აღფრთოვანებულა. რამდენიმე წლის წინ გომისმთას ცნობილი მეცნიერი, მოგზაური, ბიოლოგი, არერთი პოპულარული წიგნის ავტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტისა და მსოფლიოს ყველა კონტინენტის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი ეწვია (არნოლდი წარმოშობით ოზურგეთელია) და დიდი შეფასება მისცა გომისმთის ტურისტულ პოტენციალს.

სამწუხაროდ, წინა ხელისუფლება ამ კურორტზე გამართულ ღონისძიებებს მხოლოდ პოლიტიკური მიზნით იყენებდა და წლები დაიკარგა გომისმთაზე მეტად საშური სამუშაოების დროულად დასაწყებად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უპირველესად იზრუნა შემოქმედი-გომისმთის გზის სარეაბილიტაციოა სამუშაოების შესასრულებლად. რებილიტაცია ჩაუტარდა ბჟუჟესი-გომისმთის 18-კილომეტრიან მონაკვეთს. (მშენებელი „გზამშენი 18“). მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები კურორტს გომისმთაზე წყალგაყვანილობისათვის, ელექტროენერგიის მიწოდებისთვის.

2013 წლის 9 სექტემბერს, წმ. ილია თეზბიტელის სახელობის ტაძრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, (პროექტის ავტორი და არქიტექტორია, მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი, სპონსორი და მშენებელი შპს „გზამშენი 18“).

ტაძარი ზღვის დონიდან 2200 მეტრს სიმაღლეზე შენდება. იგი აიგება კარგად გამშრალი ხის მასალისაგან, აშენდება ქართული, აჭარაგურიაში გავრცელებული ტრადიციებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთაში „ღოჯის“ პრინციპით აგება.

გვ-3

საკრებულოს ყველაზე მოკლე სხდომა და ოპერატიულად განხილული ხუთი საკითხი

თემურ მარშანიშვილი

13 აგვისტოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, თავის რიგგარეშე სხდომაზე, ერთთგვარი რეკორდი დაამყარა: ნახევარ საათში განიხილა და დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალისწინებული ხუთივე საკითხი

„ოზურგეთული ზაფხულის საღამოების“ ღონისძიებების დასაფინანსებლად

მორიგი ცვლილებები და დამატებები შეიტანეს საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №97 განკარგულებაში „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, „ოზურგეთული ზაფხულის საღამოების“ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმას, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ნაწილში, დაემატა 1500 ლარი: ექადიის ტყე-პარკში ახალგაზრდული შემოქმედებითი ტურის მონაწილე ახალგარდების ტრანსპორტირება – 50 ლარი; ლანჩის მოწყობა 30 ადამიანისათვის – 400 ლარი; დისკოთეკის ორგანიზება და წამყვანის მოწვევა – 400 ლარი; ღონისძიების მუსიკალური უზრუნველყოფა – 300 ლარი; მომღერლების ჰონორარი – 250 ლარი; სიგელების დასაბეჭდი ქაღალდი – 50 ლარი; სიგელების ლამინირება – 50 ლარი.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვის გეგმას, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ნაწილში, სასმელი წყლის მოტანის მომსახურების უზრუნველყოფისათვის დაემატა 500 ლარი.

ცვლილებები ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში

დაადგინეს, რომ შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 თებერვლის №14 დადგენილებით დამტკიცებუკ დანართში (**www,matsne.gov.ge,** 24/12/2015სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.171.016063) და დანართის მე-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04 03)

როგრამის მიზანია: ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უსუნათლო (მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის სტატუსის მქონე) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ საკრებულოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება; მხედველობით განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის დამადასტურებელი დოკუმენტი; ცნობა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის შესახებ; ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100; საბანკო ანგარიში.

პროექტის ინიციატორია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

გერბისა და დროშის შერჩეული ნიმუშები ჰერალდიკის საბჭოს გადაეგზავნა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით შექმნილმა დროებითი ჯგუფის ხელმძღვანელმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძემ სხდომაზე წარმოადგინა კომისიის მიერ საუკეთესოდ ცნობილი პროექტები, რომლის ავტორია ზაზა თავაძე.

„აქ ერთი რამ იყო დასაზუსტებელი. ავტორმა გერბის თავისეულ ვარიანტში შეიტანა სხვა ავტორის მიერ შექმნილი დეტალი – თეატრის ლოგო, რაც აუცილებლად იქნება მითითებული ჰერალდიკის საბჭოში გადაგზავნისას, ანუ არ დაირღვევა საავტორო უფლებები. შერჩეული პროექტები დღესვე გადაიგზავნება ჰერალდიკის საბჭოში, სადაც დაწვრილებით განიხილავენ მათ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, ავტორს ცვლილებების შეტანაც ურჩიონ. ასე რომ, ქალაქ ოზურგეთს მალე ექნება თავისი ახალი გერბი და დროშა“, აღნიშნა ნინო გოგუაძემ.

ცვლილებები №65 განკარგულებაში

სხდომაზე მხარი დაუჭირეს „შპს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სავაჭრო ცენტრის (ს/კ 237079610, 100% წილის მესაკუთრე სსიპ თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ქონებიდან (მდებარე ქ. ოზურგეთი, გურიის ქუჩა, ს/კ 26.26.48.270) 5982 კვ. მიწის ფართიდან 4400 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, პირობიანი საჯარო აუქციონის ფორმით, იჯარით (სარგებლობის უფლებით), 35 წლის ვადით გაცემის შესახებ, ქალაქ ოზურგეთის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივნისის №65 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

თანხმობა ქალაქის მერს

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მიეცეს თანხმობა ქალაქ ოზურგეთის მერს ქალაქ ოზურგეთში, გურამიშვილის ქუჩა №13-ში მდებარე უძრავი ქონების 1-2 სართულზე არსებული 707,10 კვ.მ ფართის (ს/კ:№26.26.56.030.01.503), ამავე მისამართზე მე-2 სართულზე არსებული 90,84 კვ.მ ფართის (ს/კ:26.26.56.030.01.504) მათზე არსებული ვალდებულებებით და ამ განკარგულების დანართი №1 და დანართი №2-ში ასახული უძრავ-მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

P.S. **საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილული ბოლო ორი საკითხის ტექსტობრივი მასალა, ვრცელი მოცულობის გამო, სცილდება საგაზეთო ფორმატს. მისი სრულყოფილად გაცნობა შეგიძლიათ საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამის განკარგულებებსა და დანართებში, რომელიც ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე.**

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მერია-კონჭკათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მეორე ეტაპი მიმდინარეობს

ალიონი. პროექტის საერთო ღირებულება 2 500 000 ლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს კომპანია: „პირამიდა-ფრ“ ახორციელებს.

გზის მშენებლობის პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, გურიის გუბერნატორთან - გია სალუქვაძესთან ერთად დაესწრო.

–ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. აქამდე ამ სოფლებში ასფალტისსაფრიანი გზა არ ყოფილა. ახალი გზა ორი სოფლის პრობლემას მოხსნის, რომლითაც 5 700 მაცხოვრებელი ისარგებლებს. სამშენებლო სამუშაოები 2014 წელს დაიწყო. მოეწყო მილხიდები, განხორციელდა გზის გამაგრებითი სამუშაოები. ამჟამად გზის მოასფალტება მიმდინარეობს – აღნიშნა მერაბ ჭანუყვაძემ.

მერია-კონჭკათის დამაკავშირებელი 4, 700 მ. სიგრძის გზის მშენებლობა 3 თვის ვადაში დამთავრდება.

ოზურგეთის მერიამ მიუსაფარ მოქალაქეთათვის თავშესაფრის რეაბილიტაცია დაიწყო

ალიონი. მიუსაფარ და შეჭირვებულ მოქალაქეთათვის განკუთვნილი ყოფილი სამშობიაროს შენობის აღდგენა უკვე დაიწყო. სამუშაოები ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ მოინახულა.

ამჟამად შენობაში დემონტაჟი მიმდინარეობს. ქალაქის მერის ინიციატივით, მეორადი მასალა და კარფანჯრები იმ სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეებს გადაეცემათ, რომლებიც ქალაქის მერიას მსგავსი ტიპის თხოვნით მომართავენ.

აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ სარემონტო სამუშოები დაიწყება.

რეაბილიტაციის შემდგომ შენობაში კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართები ქალაქის მერიის ბაზაში აღრიცხულ უსახლკარო მოქალაქეებს გადაეცემათ.

რეაბილიტაციას ტენდერში გამარჯვებული შპს ''ვიგორა'' ახორციელებს.

დღი ბახმაროში, პოლიტიკური ვარიაციებით

ნუგზარ ასათიანი

მინდოდა 2012 წლის 19 აგვისტო მწარე წარსულისთვის დამეტოვებინა, მაგრამ ვერ შევძელი. იმდენჯერ შემახსენეს მსგავსი სცენარის შემქნელებმა თავი, რომ იძულებული ვარ „ალიონის“ არქივს გადავხედო.

ბახმაროს დღეს წინ უძღვოდა „შუამთობის“ დღესასწაული გომისმთაზე, რომელსაც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რამაზ ნიკოლაიშვილი, გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი და ეპარქიის უმაღლესი სასულიერო პირი მეუფე იოსები ესწრებოდნენ.

ნაშუადღევს დაიწყო გახმობები და რაღაც საუბრები. გომისმთის სტუმრები, თითო-ოროლა, სადღაც ნისლში „იკარგებოდნენ“. გავიგონე ერთ-ერთი მაღალჩინოსნის გადალაპარაკება მეორისადმი: „ ჟურნალისტები გაიყვანეთ“...

ბარში დავეშვით. ბუჟუჰესამდე საკმაო გზა გვქონდა გასავლელი, მეუფის ჯიპი რომ დაგვეწია, მეუფე იოსებმა მანქანიდან დაგვლოცა, ჩვენს „მარშრუტკას“ გაუსწრო და მოსახვევში თვალს მიეფარა...

ბჟუჟესის ქვემოთ, მდინარე კალუას ხიდთან ცუდი ამბავი დაგვხდა. გომისმთიდან მომავალი ერთ-ერთი სტუმრის მსუბუქი ავტომობილი მოსახვევში ამოტრიალებულიყო და მძღოლი დაღუპულიყო.. შეწუხებული ვიდექით დამტვრეულ ავტომანქანასთან. შეწუხებულები იცავდნენ ავარიის ადგილს პოლიციელები... გომისმთის მხრიდან არავინ მოდიოდა...

როგორც შემდეგ გავიგეთ, გომისმთაზე წინასაარჩევნო პურმარილი, მუსიკალური კოლექტივების თანხლებით შუაღამემდე გრძელდებოდა....

* * *

ბახმაროში კი უფრო მაღალი დონის სტუმარს ელოდნენ. თავად პრეზიდენტი უნდა დასწრებოდა „ფერისცვალების“ დღესაწაულს.

18 აგვისტოს, საღამოს, პოლიციელების კონცენტრაცია შეინიშნებოდა კურორტზე. ღამით ყვითელი ავტობუსებით ამოიყვანეს ასეულობით პოლიციელი. ღამით ამოვიდნენ კურორტზე საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მეუღლე სანდრა რულოვსი. ღამით სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდა აქტივისტებს შეხვდა.

დილით ძალიან ბევრი პოლიციელი იყო კურორტის შესასვლელში. ისინი სადღესასწაულო ადგილისაკენ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებით სავსე მიკროავტობუსებს ატარებდნენ.

დაახლოებით, დღის 12 საათზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზღვის დონიდან 2050 მეტრზე, სადაც ადრე პოლიციის საგუშაგო იყო, პოლიცია „ქართული ოცნების“ მიკროავტობუსებს არ ატარებსო.

ამ დროისათვის არაერთი პოლიციის ავტომანქანა დაიძრა დასახელებული ადგილისაკენ. ტაქსის მძღოლებმა უარი გვითხრეს დასახელებული მისამართით გადაყვანაზე. „ალიონის“ ჟურნალისტები პიკეტის ადგილისაკენ ფეხით წავედით. ძლიერი ნისლი იყო, ხედვა ჭირდა. გზის გასწვრივ, მაღლობზე, ტყეში, ყოველ 30 მეტრში შავფორმიანი იდგა. 30 წუთში, პიკეტის ადგილას ვიყავით. აქედან 300 მეტრზე „ბუფერულ ზონაში“ მხოლოდ პოლიციელები იდგნენ. იმ დროს, როდესაც ცენტრალური მედიასაშუალებების ჟურნალისტები დაუბრკოლებლივ გადაადგილდებოდნენ, ჩვენ გადაადგილების უფლება არ მოგცეს. ზუსტად ამ დროს პიკეტს დიდი ავტობუსი მიადგა და რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული 50-მდე შავფორმიანი გადმოვიდა. ჩვენგან დაახლოებით 50 მეტრში „რეალ ტვ“-ს ჟურნალისტი იდგა შავფორმიანის გვერდით. მან პოლიციელებს რაღაც უთხრა და ხელით ჩვენსკენ მოუთითა. მივხდით, „განსაკუთრებული ყურადღების“ ქვეშ ვექცეოდით. ხშირი ნისლით „ვისარგებლეთ“ და ნისლში „გავუჩინარდით.“

იქ, სადაც ხის ჯვარი დგას ჩემს ვაჟს და ძმისშვილს (მაშინ მე-12 კლასის მოსწავლები იყვნენ) ვთხოვეთ დარჩენილიყვნენ. ჩვენ ქვემოთ გზაზე ჩავედით და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა აქტივისტებს შევხვდით. საქართველოს პარლამენტის მომავალმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, თემურ ჩხაიძემ გვითხრა, მიკროავტობუსებით ლანჩხუთიდან და ჩოხატაურიდან „ქართული ოცნების“ 70-მდე აქტივისტი იყო დოღზე დასაწრებად, რომელთა გადაადგილებას 300-მდე პოლიციელი უშლიდა ხელს.

იმ დროს, როდესაც „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა აქტივისტები გვიყვებოდნენ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტთან მომხდარი კონფლიქტის შესახებ (თემიდან „ქართული ოცნების“„მეამბოხე“ აქტივისტი ზ.კ საკმაო ხნით გაამწესა „სადაც ჯერ არს“) ...

ამ დროს ოფიცერის ბრძანება გაისმა: -„სასწრაფოდ შეყარეთ..“

სირბილით დაიძრნენ შავფორმიანები...

თემურ ჩხაიძისკენ გავიხედე, ჩემი ვაჟი და ძმისშვილი გზაზე ჩამოსულიყვნენ და ესაუბრებოდნენ (ბატონი თემური ცხინვალის „სპარტაკის“ ახალგაზრდა გუნდს წვრთნიდა, სადაც ჩემი ძმისშვილი თამაშობდა).

უცებ ყველანი მოაქციეს ალყაში.

—ჟურნალისტი ვარ მეთქი, მოწმობა ამოვიღე..., გაიცინეს..

ნინო ნიკოლაიშვილს (ჟურნალისტი, ჩემი მეუღლე) მთის ფერდობის ძირში ბიჭებისთვის ხელი მოეხვია და შავფორმიანებს არ აძლევდა საშუალებას, რომ ისინი ავტობუსში ჩაესვათ.

შავფორმიანების ალყაში გზას მივიკვლევდი ბიჭებისკენ.

ოფიცერმა ბრძანება გასცა და შავფორმიანებმა (როგორც შემდეგ გავიგეთ, ესენი სამეგრელოს ე.წ. „სპეცრაზმი“ იყო) ხრამის პირას მიგვაყენეს და გადაადგილების უფლებას არ გვაძლევდნენ...

—როცა ბრძანებას მივიღებთ, გაგიშვებთ —ასე უპასუხა ჩვენს მრავალგზის პროტესტს შავფორმიანების ოფიცერმა.

ნინო ნიკოლაიშვილი სპეცრაზმელებს მიმართავდა: —თქვენ სამშობლოს უნდა ემსახუროთ და არა ერთი კაცის ახირებას...

ამ პერიოდში გამოიარა „ინფო 9“-ის ოზურგეთის წარმომადგენლებმა.

ვანიშნე, ვიდეოკამერით გადაეღოთ...

არ ჰქონდათ კამერა ...

—„გაატარეთ ჩვენიანია, სიაშია“— გვესმოდა მსუბუქი ავტომანქანების გამოჩენისთანავე და მძღოლები (ძირითადად რეგიონის საჯარო მოხელეები) მადლიერების ნიშნად სპეცრაზმელებს უღიმოდნენ და „ბედნიერები“ აგრძელებდნენ გზას ბახმაროსაკენ.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა. რას არ ვფიქრობდი.. ალბათ ერთი საათზე მეტი დრო იქნებოდა გავლილი, მათ „ბრძანება“ რომ მიიღეს ჩვენი გათავისუფლების შესახებ.

გვითხრეს, —პოლიციის კორდონის გავლით შეგვეძლო გადაადგილება. „ალაიაში“ გაგვატარეს.

შავი სპრინტერი წამოგვეწია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლები ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულის აღსანიშნავად მიდიოდნენ.

ჩვენს ნიშანზე, მანქანა გაეჩერებინათ, იმჟამინდელი მმართველი პარტიის ერთერთმა ადგილობრივმა „სახემ,“ (რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა), მძღოლს ხელის აქნევით ანიშნა „გზა გააგრძელეო...“ ჩვენი ხმაურიანი პროტესტის შემდეგ მიკროავტობუსი გააჩერეს და კურორტის ტერიტორიაზე ჩაგვიყვანეს.

პრეზიდენტის წასვლისთანავე ზაფხულში მოსული თოვლივით გაქრა მისი „ამალაც,“ დაახლოებით 2 ათას კაცამდე პოლიციელი და სპეზრაზმელი.

სპეციალურ სცენაზე თბილისელმა და ოზურგეთელმა „ვარსკვლავებმა“ იმჟამინდელი მმართველი პარტიისადმი მიძღვნილი კონცერტი გამართეს. მაყურებელი ბევრი არც ჰყავდათ..

* * *

გაზეთმა „ალიონმა“ 2012 წლის 19 აგვისტოს ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის შესახებ შესაბამისი მასალა დაბეჭდა, (ძალადობაზე და პოლიციაში დაბარებაზე არც მანამდე შეშლიათ ხელი). ადგილობრივი არც პოლიცია და არც პროკურატურა დაინტერესებულა მომხდარით. ველოდით, გურიის მაღალჩინოსნები (გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი), სიტყვით მაინც გამოხატავდნენ თანადგომას...

დღეს, ბევრი იმათთაგანი, რომლებიც ასეთ „დემოკრატიას“ დუმილით მხარს უჭერდნენ (ზოგი თავად ატეორებდა ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს,) კვლავ თბილ სკამებზე სხედან და აქეთ გვიკითხავენ „მორალს:“—შენ ძმაო, დაანებე თავი, მაგ ზონდერების სიების ძებნას —მაშინ ასე იყო საჭიროო...

ამიტომ არ მიკვირს, როცა კვლავ გვებრძვიან —ასეთები ხომ ყველა დროში იქნებიან.....

2012 წლის 19 აგვისტოს შემდეგ, ბახმაროში დოღს აღარ დავსწრებივარ...

ტრადიციული დღესასწაული „გომისმთობა“ გაიმართა

ვახტანგ მამეიშვილის თქმით, სწორედ ამ მეთოდით აშენდება ეს ტაძარი.

გარდა ამისა, ჯვარ-გუმბათის ყელზე გამოყენებული იქნება ქართული დარბაზის პრინციპით გადამსვლელი ჭდობის მეთოდი. ასევე შესრულდება გუმბათის გვირგვინიც. ხისგან დამზადდება კანკელიც.

ჯერ-ჯერობით ტაძრის ფუნდამენტის ჩასხმის სამუშაოები შესრულდა.

კურორტის პოპულარიზაციისათვის, წელს, 5 მაისს, პროექტის „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“ ფარგლებში კურორტ ურეკსა და გომისმთაზე საინფორმაციო ტური მოეწყო. გომისმთაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

გიორგი ჩოგოვაძე გაზეთ „ალიონს“ სამთო ტურიზმის პერსპექტივებზე ესაუბრა და გომისმთის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

ამ დღეს გინესის მრავალგზის რეკორდსმენმა გოდერძი მახარაძემ 43-ე რეკორდი დაამყარა და მან 9

წუთსა და 37 წამში ბურთი თავით 1750-ჯერ აკენწლა.

გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და შესაბამისი სამსახურების მიერ მოწყობილ დღესაწაულზე იყო სპორტული ღონისძიებები, (მათ შორის ფარიკაობა, კარვების კონკურსი). ასევე მოეწყო მუნიციპალიტეტის ტურისტული კერების ამსახველი ფოტოგამოფენა.

ტრადიციულ დოღში შემოქმედელმა ბაჩუკი ლატარიამ გაიმარჯვა (ცხენით „ჩერქეზა“).

გომისმთის პერსპექტივებზე დამსვენებლებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე ესაუბრა.

„გომისმთობა 2015“ დასრულდა ანსამბლ „ბანისა“ და დავით კენჭიაშვილის კონცერტით.

„გომისმთობას“ ესწრებოდნენ: გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე; ქ. ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი; ვიცე-მერი ალეკო მითაიშვილი; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი სულხან ევგენიძე; ოზურგეთის საკრებულოს თავჯდომარე დავით დარჩია, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი დავით შემოქმედელი და სხვები.

გუბერნატორმა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები მოისმინა

გასულ ხუთშაბათს, გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში მოქალაქეთა ყოველკვირეული მიღება გაიმართა.

სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა გურიის მხარეში გია სალუქვაძემ, პირველ მოადგილესთან, ქეთევან მოისწრაფეშვილთან ერთად, სხვადასხვა საკითხზე მოქალაქეთა პრობლემები მოისმინა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის მკვიდრმა, უსინათლო ლამზირა ბაჯელიძემ გუბერნატორს, ფინანსური დახმარების აღმოჩენისა და მისი სოციალური მდგომარეობის ხელახლა შესწავლ-ის თხოვნით მიმართა.

„ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. ჯანმრთელობისა და ინფრასტრუქტურული კუთხით მესაჭიროება დახმარება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სახლის გადასახური მასალით უკვე დამეხმარა, მაგრამ საცხოვრებელი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია. გუბერნატორმა ჩემი გაჭირვება გულთან ახლოს მიიტანა და დახმარებას შემპირდა, რის გამოც ძალიან მადლი-ერი ვარ. მე მჯერა მისი გულ-ისხმიერების," – აღნიშნა ლამზირა ბაჯელიძემ.

მოქალაქეთა მიღების დასრულების შემდეგ, მხარის პირველმა პირმა გადაწყვიტა მოადგილესთან, სოციალური სამსახურისა და გამგეობის წარმომადგენლებ-თან ერთად მოქალაქის საცხოვრებელი სახლი პირადად მოენახულებინა.

„ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ეფექტურად და ოპერატიულად მოვახდინო რეგიონში მცხოვრები თითოეული მოქალაქის სხვადასხვა სახის პრობლემის დროულად გადაჭრა," – განაცხადა გუბერნატორმა.

წყალი ჩამორიგებით _ სასმელი თუ ტექნიკური?

ალიონი. გლობალური დათბობის პრობლემამ მსოფლიოს დიდი თავსატეხი გაუჩინა. ისეთ წყალუხვ ქვეყანაშიც, როგორიც საქართველოა, უპირველესი საზრუნავი სწორედ წყალი გახდა. ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სითხის დეფიციტი გურიაშიც საგრძნობია, განსაკუთრებით წლევანდელ ცხელ და გვალვიან ზაფხულში. გამონაკლისს არც ქალაქ ოზურგეთი წარმოადგენს, სადაც, წყალგაყვანილობის ახალი სისტემის ამოქმედებამდე, რამდენიმე უბანში მოსახლეობა ფაქტობრივად უწყლოდ არის დარჩენილი, რადგან ინდივიდუალური ჭები დამშრალია.

ამ უბნებში, მაგალითად, ანასეულში, ქალაქის ხელისუფლება მოსახლეობას წყალს სახანძრო მანქანებით ურიგებს, ოღონდ ტექნიკურს, მაშინ, როცა

– ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვის გეგმას, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ნაწილში, 500 ლარი დაემატა სწორედ სასმელი და არა ტექნიკური წყლის მიტანის მომსახურების უზრუნვ-ელყოფისათვის.

<u>იუბილარი</u>

დაბადების 80 წლის იუბილეს გილოცავ ამ სამყაროში ჩემთვის ყველაზე ძვირფასო და საყვარელო არსებავ, ჩემო დედიკო!

ვერც ოჯახის შექმნამ, ვერც შვილებმა და შვილიშვილმა ვერ გაანელეს დედაშვილური სიყვარულის ის ლამაზი გრძნობა მე და შენ ყოვლადუხილავი ძაფებით ერთმანეთთან რომ დაგვაკავშირა, გაგვ-აერთიანა. რაც დრო გადის, კიდევ უფრო გაფასებ, კიდევ უფრო მიყვარხარ. იმ აზრსაც ვაცნობიერებ, ხელის გულზე ერბო-კვერცხი რომ მოგიწვია, შენს ამაგს ვერასოდეს გადავიხდი.

სულ მინდოდა შენსავით კეთილშობილი და მიმტევებელი ვყოფილიყავი, მაგრამ ზოგჯერ არ გამომდის. როგორც ჩანს, გენეტიკურმა კოდმა, მშობლებისაგან ნაანდერძევმა სიკეთემ და გულისხმიერებამ შენში განსაკუთრებით გაიდგა ფესვები. ზნეობამ ნათესაობასა და პედკოლექტივშიც გამოგარჩია. პიროვნული ხიბლით სავსეს ტყუილად კი არ გიწოდეს „მართალი ქალი"...

გული სიამაყით მევსება, როცა შენი მოსწავლეების მიერ წლების მანძილზე გამოგზავნილ წერილებს ვკითხულობ, წარმოუდგენელია, ასე გიყვარდეს მასწავლებელი და მასში ვერ ხედავდე „მეორე დედას". იამზე ვაშაყმაძე მათთვის იყო სისპეტაკისა და გონიერების ეტალონი. ასეა დღესაც!

მახსოვს, როგორ გიყვარდა ის-ტორიის კაბინეტში ფუსფუსი, უსაზღვროდ გახარებდა საკუთარი მოსწავლეების წარმატებები რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებში... მუდამ მომავლის გეგმებს სახავდი, „დიოგენის ფარნით" ეძებდი გამორ-ჩეული ნიჭისა და შესაძლებლობის აღსაზრდელებს, ცდილობდი, მათი ცოდნის მისხალიც არ დაგეკარგა, თუმცა მიღწეულით კმაყოფილი არასოდეს ყოფილხარ. თანაბრად ანაწილებდი დროს ოჯახსა და სკოლას შორის.

პედაგოგების ოჯახში აღზრდილმა უყოყმანოდ აირჩიე ის რთული და ჯერაც სათანადოდ დაუფასებელი პროფესია. ჩემო საამაყო დედიკო, აქაც შენმა და მამაჩემის, რომან ცეცხლაძის გავლენამ დამანახა ამ საპატიო გზაზე შედგომის აუცილებლობა. თქვენი ძარღვიანი სიტყვა დღესაც მშველის, მაპოვნინებს გამოსავალს სკოლის მართვის საპასუხისმგებლო საქმეში.

სოფელ შრომის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სულითა და გულით გილოცავს დაბადების დღეს. ღმერთმა ნუ მოგაკლოს შენი ოჯახის, ნათესავებისა და კოლეგების სიყვარული, სულიერად ძლიერს დიდხანს გეცოცხლოს!

რუსუდან ცეცხლაძე,
სოფელ შრომის საჯარო
სკოლის დირექტორი

ლაშქრობა გოგიეთის ტურისტულ ბაზაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრმა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარჩინებული მოსწავლეებისათვის მოაწყო წამახალისებელი ლაშქრობა გოგიეთის ტურისტულ ბაზაზე, (ხელმძღვანელები: ცენტრის დირექტორი ავთანდილ სირბილაშვილი, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი მათე სკამკოჩაიშვილი). მოლაშქრეებს შორის იყვნენ თბილისელი, რუსთაველი, ხარაგოულელი, ოზურგეთელი (ნატანები, ლიხაური) მე-11, მე-12 კლასელები.

ეს იყო გაცნობის, დამეგობრების, მხიარულების, საოცარი ეგზოტიკური ადგილების მონახულების და კიდევ მრავალი საინტერესო ამბის ორდღიანი აქცია. საოცრად აქტიური იყო ყველა მოლაშქრე, ერთვებოდნენ ინტელექტუალურ, მხიარულ, დინამიკურ კონკურს-თამაშებში.

ლაშქრობის ყველა მონაწილე მადლიერი გახლდათ ამ ეკომუზეუმის შემქნელის, ჯანვერდი ცეცხლაძის მიმართ.

ანეგდოტები

XXX

ორი ნარკომანი ქუჩაში მიდის. ერთ-ერთმა გზის პირას ამერიკული ფული დაინახა და სასწრაფოდ აიღო.

– რამდენია? – ჰკითხა თანამგზავრმა.

– ათდოლარიანია, – უპასუხა მან, თან ფული ერთხელ კიდევ შეათვალიერა და... უცბად შორს მოისროლა.

– რატომ გადააგდე? – გაიკვირვა თანამგზავრმა.

– ყალბი იყო.

– როგორ მიხვდი?

– აბა, სად გინახავს ათდოლარიანი ორი ნულით?

XXX

მიხომ „სგუშონი მოლოკო" იყიდა და მცირეწლოვან ვაჟიშვილს მიუტანა. ბიჭმა გაიხარა და კოვზით ჭამა დაიწყო.

– რას შვრები, შე სულელო! ვის გაუგონია მაგის კოვზით ჭამა?!

– აბა, რით უნდა ვჭამო?

– ვერ ხედავ რა აწერია! უნდა მოლოკო, შვილო! – აუხსნა მიხომ.

XXX

– როდის აკეთებენ ჩვენი მთავრობის წევრები კეთილ საქმეს? – ჰკითხა ამხანაგმა გურულს.

– როცა პენსიაზე გადიან!

XXX

თვითმფრინავი გადაბრუნდა და თავდაყირა მიფრინავს.

– დაწყნარდით, პილოტი ახლა წამალს იწვეთებს ცხვირში და სულ მალე განვაგრძობთ ჩვეულებრივი ფრენას, – დაამშვიდა შეშფოთებული მგზავრები სტიურდესამ.

XXX

კოსტა, გავიგე ფერადი ტელევიზორი შეგიძენია, კარგად აჩვენებს?

– ძალიან კარგად და თანაც ბევრ რამეს!

– რა ჰქვია?

– არ ვიცი, მარა თუ ასე გაგრძელდა, მამაჩემის სახელს დავარქმევ.

XXX

– ქალს გემო მხოლოდ 30 წლის ასაკში გავუსინჯე.

– მანამდე რას შვრებოდი?

– მხოლოდ მამაკაცებით ვიყავი დაკავებული.

– შენ რა, „ცისფერი" ხარ?

– არა, კაციჭამია გახლავართ!

XXX

პატარა ანა, მელოტ ბაბუას თავზე ხელს უტყაპუნებს და ეკითხება:

– ბაბუ, შენს დროს თმები არ იყო?!

დამტკიცდა საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 აგვისტოს სხდომაზე დამკიცდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხა.

როგორც სხდომაზე ითქვა, ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზება აუქციონის წესით.

კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაევალა მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა ლომჯარია).

იყიდება

ტრაქტორი T-16, მუშა მდგომარეობაში.
ახლავს მისაბმელი, გუთანი, კულტივატორი, ფარცხი, ზიგზაგი.
ფასი შეთანხმებით.
დაგვიკავშირდით:
(599) 95 57 69; (790) 95 57 69 (გოჩა).

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს პირობებიან საჯარო აუქციონს, ქონების იჯარით (სარგებლობის უფლებით), 35 წლის ვადით გაცემის შესახებ

დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	შენობა-ნაგებობა	„ბე" (ლარი) 50 %	„ბიჯი" (ლარი) 10 %	მონაწილის ბილეთი (ლარი)	ყოველწლიური თანხის ოდენობა	ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გაცემის ქონის საწყისი საფასური (ლარი)
არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობები	ქალაქი ოზურგეთი გურიის ქუჩა.	26.26.48.270	5982 კვ.მ-დან 4400 კვ.მ	№2 საერთო ფართი 10.8კვ.მ, განაშენიანების ფართი 12 კვ.მ სართულიანობა 1, №3 საერთო ფართი 39.5 კვ.მ განაშენიანების ფართი 45 კვ.მ, სართულიანობა 1, №4 საერთო ფართი 80 კვ.მ, განაშენიანების ფართი 89 კვ.მ, სართულიანობა 1, №5 საერთო ფართი 145 კვ.მ, განაშენიანების ფართი 162 კვ.მ, სართულიანობა 1, №6 საერთო ფართი 60 კვ.მ, განაშენიანების ფართი 116 კვ.მ სართულიანობა 1. №7 საერთო ფართი 9 კვ.მ, განაშენიანების ფართი 10 კვ.მ სართულიაობა 1, №8 საერთო ფართი 366 კვ.მ განაშენიანების ფართი 406 კვ.მ სართულიანობა 1	12233	2452	50	50	24516

პირობიანი აუქციონის პირობები

ა) აუქციონში გამარჯვებულმა, ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის საფასური სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმზე ხელმოწერის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ბ) აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს პროფილის შენარჩუნება (კერძოდ: ქონების დღეის მდგომარეობით არსებული დანიშნულების შენარჩუნება)

გ) აუქციონში გამარჯვებულმა, ქონებით სარგებლობის განმავლობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველი საანგარიშო წლის დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში გადაიხადოს საიჯარო ქირა.

დ) აუქციონში გამარჯვებულმა, უნდა გადაიხადოს ქონებით სარგებლობისას წარმოშობილი კომუნალური გადასახდელები სხვა საგადასახადო ვალდებულებები.

ე) აუქციონში გამარჯვებულმა, მშენებლობის წარმოების შემთხვევაში მშენებლობის პირობები შეათანხმოს მესაკუთრესთან.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. "სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში):"

* აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

* სარგებლობის უფლებით გაცემის საფასურის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში

* აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია

* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი: 300898800

* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია"-ში მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 17 აგვისტოდან 2015 წლის 15 სექტემბერს 12.00 საათამდე"

* აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 15 სექტემბერს 14.00 სთ-ზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.

*** "ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის "**

ტელ: 595 22-08-26, 599 009329, 574 77- 74- 77"

(ღ)

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



ფრედერიკ სოდი (1877-1956). ინგლისელი ქიმიკოსის გარღვევა მოხდა 1901-1903 წლებში რეზერფორდთან მუშაობისას. შემდგომი მისი მეცნიერული კვლევა დაეხმარა მეცნიერებს გაერკვიათ ელემენტების ატომური აგებულების მნიშვნელოვანი ასპექტები.

მისმა რევოლუციურმა იდეებმა რადიკალური შედეგი გამოიღო ატომების სპონტანური გამოსხივების შედეგად ელემენტების ნახევრად დაშლის აღმოჩენაში. განსაცვიფრებელ დასკვნას წარმოადგენდა მიგნება, რომლის თანახმად დაშლის პროცესში ნივთიერება გარდაიქმნება სხვა ელემენტად.

თავისთავად, ამ აღმოჩენებმა სოდის რეპუტაცია საგრძნობლად აამაღლა, ისევე, როგორც შესაბამის სფეროში მოგვიანებით შესრულებულმა სამუშაოებმა.

სოდის იზოტოპების აღმოჩენამ „დაალაგა“ დიდი არეულობა, რომელიც ქიმიაში სუფევდა.

1921 წელს სოდი იზოტოპებზე მუშაობისათვის დაავჯილდოვეს ნობელის პრემიით ქიმიაში.

ალბერტ აინშტაინი (1879-1955). 1905 წელს გამოაქვეყნა სამი სტატია თეორიულ ფიზიკაში და „სპეციალური“ ფარდობითობის თეორია. 1916 წელს წარმოადგინა ზოგადი თეორია ფარდობითობის შესახებ, რომლის სისწორეც სამი წლის შემდეგ დადასტურდა. 1922 წელს მიიღო ნობელის პრემია ფიზიკაში. 1939 წელს დაჟინებით ურჩევდა რუზველტს ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობის დაწყებას. 1955 წლის 18 აპრილს მეცნიერი ძილის დროს გარდაიცვალა.



განსაკუთრებით აღსანიშნავია მოძღვრება სინათლის სიჩქარის შესახებ. უბრალოდ ჩვენი ცხოვრება მექანიკის კლასიკურ კანონებს ემორჩილება და სიჩქარეს არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

აბსოლუტური დრო და სივრცე არ არსებობს. თეორიულად თუ ადამიანი სინათლის სიჩქარესთან მიახლოებულად მოძრაობს, კოსმოსში მისთვის ყველაფერი ნორმალურად ჩანს, მაგრამ მეორე ადამიანი, რომელიც მას მიწაზე ელოდება, შეამჩნევს რაღაც უჩვეულოს. საფრენი აპარატი სულ უფრო დაპატარავდება ფრენის მიმართულებით, მეტიც, როდესაც დრო დედამიწაზე ჩვეულებრივად მიდის, საათი ხომალდზე ნელა გადაიწევს დედამიწაზე არსებულ დროსთან შეფარდებით (რაც უფრო სწრაფად გადაადგილდება ობიექტები, დრო უფრო ნელა მიდის. ეს სხვაობა უფრო ნათელი ხდება, როდესაც ხომალდის დაბრუნებისას მოხდება დროთა შედარება საათებზე ასახული მონაცემების მიხედვით. თუ დედამიწაზე დამკვირვებელს შეეძლება გაზომოს ხომალდის მასა მოძრაობისას, იგი შეამჩნევს, რომ ის მძიმდება. ამგვარად არაფერს შეუძლია იმოძრაოს სინათლის სიჩქარით ან უფრო სწრაფად, რადგან ამ შემთხვევაში მას ექნება განუსაზღვრელი მასა, არ ექნება მანძილი, დრო კი არ შეიცვლება.

საოცარია, მაგრამ აინშტაინის ვარაუდები სპეციალური და ზოგადი ფარდობითობის შესახებ თანდათანობით დამტკიცებულ იქნა ექსპერიმენტებით. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1919 წელს ჩატარებულიყო გაზომვები მზის დაბნელებისას, რამაც დაამტკიცა, რომ მზის გრავიტაციული ველი გადახრის სინათლეს, რომელიც ვარსკვლავებიდან დედამიწაზე მომდინარეობს.

ამ მტკიცებულებამ აინშტაინს მსოფლიო აღიარება მოუპოვა ფიზიკის ახლებურ განმარტებაში.

ალბერტ აინშტაინს ეკუთვნის ფრაზები: „მეცნიერი კოჭლია რელიგიის გარეშე, რელიგია კი ბრმაა მეცნიერის გარეშე“; „დიდი აღმოჩენები ახალგაზრდების საქმეა, ჩემთვის კი წარსულია“.

ომის შემდეგ აინშტაინმა მთელი დრო ბირთვული განიარაღების კომპანიის წახალისებაში გაატარა.

„ყოველი სული აქებდით უფალს“

როდესაც სოფელ ბოხვაურში ტაძრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, ზოგიერთები უკმაყოფილებას გამოთქამდნენ იმის გამო, რომ ეკლესია აუცილებლად სასფლაოს ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო და არა სოფლის ცენტრში, საერო შენობის გვერდით. ეს მართალიცაა, მაგრამ დღეს, როდესაც უკვე დასრულებულ სამონასტრო კომპლექსს ვუცქერით, მისი ბრწყინვალება და დიდება სულ სხვანაირ შთაბეჭდილებას გვიქმნის. ტაძარი გამოეყო ამ შენობებს და გამოცალკევდა.

შესასვლელი კარიბჭე ერთი, გააზრებული არქიტექტურული პროექტით ნაგები ტაძრის შენობა, მაღალი ჭერით, რომლის კედლების მოხატვა წმინდანთა გამოსახულებებით დღესაც მიმდინარეობს, სუფთად და გემოვნებით ნაგებია სამრეკლო, სატრაპეზო. ახლახან კი დაიწყეს თლილი ქვებისაგან გალავნის შემოვლება. მშენებლები უმეტესობა თვით ეკლესიის მსახურნი, სტიქაროსნები და მედავითნეები არიან. ეს ყოველივე მორწმუნე მრავლს წირვაზე დასწრებასა და ლოცვისაკენ მოუწოდებს.

ადამიანებთან ერთად, ტაძრის ჭერქვეშ, მერცხლებმაც დაიდეს ბინა, საოცარი ტკბილი ხმით ჭიკჭიკებენ და თავიანთ ენაზე უგალობენ უფალს.

ნანა ჯანგოთელი.

სკანვორდი



ფინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ვეემალ ღალანიძე; მდინარე ბურკინა-ფასოში - დორი; სახურავი მასალა — შიფერი; ვაჟი — ძე; დანიელი მეზღაპრე — ანდერსენი; უდაბნო ჩინეთში — ალაშანი; ტერიტორიული ერთეული — სოფელი; ლეიბი ციხის საწოლში — ნარი; ქართველი პოეტი — ნონეშვილი; გ. ბერიკაშვილის კინოგმირი — ლონდრე; შტატი აშშ-ში — დელავერი; კონტინენტი — აფრიკა; სოფელი ხელვაჩაურის რაიონში — ერგე; ფულის ერთეული ქუვეიტში — დინარი; თმის ბუნებრივი საღებავი — ინა; დიდვარჯიანი მცენარე — ხე; რუსული ავტომობილი — კამაზი; ქართული სამარკო ღვინო — მანავი; ძროხის ინგლისური ჯიში — ჯერსი; პლანეტა — მარსი; წარწერა თამასუქზე — ავისტა; მდინარე თბილისში ვერე; თაფლოვანი მცენარე — გლედიჩია; მწვანე ველი — მინდორი; სისხლის მიმოქცევის მკვეთრი გაუარესება — სტაზი; ბაყაყის ნაშიერი — თავკომბალა; დურგლის ინსტრუმენტი — ეჩო; სოფელი ლანჩხუთის რაიონში — ქვიანი; შეძახილი ცხენის ჭენებისას — აჩუ; ფრანგი არქიტექტორი (XX ს) - აპრილი; ბოსტნეული — კიტრი; საპირფარეშოს ინვენტარი — უნიტაზი; მაკედონელი - ალექსანდრე; მწვავე ინფექციური დაავადება — ყივანახველა; ნაცვალსახელი — იგი.

ისტორიის ფურცლებზე

ალიხანოვი გურიაში



10 მარტს ალიხანოვის დამსჯელი რაზმი შევიდა ოზურგეთში და დაიწყო ოზურგეთის მაზრის გლეხობის დამშვიდება მათრახითა და ტყვიებით, დამსჯელი ნაწილების ველურ თარეშს საზღვარი არ ჰქონდა, აწიოკდა მთელი მაზრა, გახშირდა დაპატიმრებანი, მაზრის და გუბერნიის ციხეები აივსო პატიმარი გლეხებით. გურიაში ალიხანოვ ავარსკის ქმედებების გამო ჟურნალი „მოგზაური" იუწყებოდა: "გენერალ ალიხანოვ ავარსკის განკარგულებით ქ.ოზურგეთში შემდეგი განცხადება გაუკრავთ:" განცხადება ქ.ოზურგეთის მცხოვრებთ, 10 მარტი 1905 წ. ქ.ოზურგეთში მოსული და დაბარგებული ჯარის უფროსი აძლევს წინადადებას ქ.ოზურგეთს და მისი მაზრის მცხოვრებთ ,რომ ყოველდღე კანონიერი წესრიგი იყოს დაცული. თავიანთი საქმეების შესახებ მიმართონ სასამართლოებს და შეასრულონ ყოველივე მათი კანონიერი მოთხოვნილება, ვინც ამას არ შეასრულებს, იქნება სასტიკად დასჯილი"(ჟურნალი „მოგზაური" 10.1905წ.გვ.140)

იმავე ნომერში არის ცნობა, რომ "12 მარტს 100 პლასტუნიდა 100 ყაზახი რუსი ბარგი-ბარხანით გაემგზავრა ჩოხატაურში, თან გაჰყვ ა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ამალით. ერთი კვირაა გურიაში ყველგან დაიკეტა სამრევლო სკოლები, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლა არ დაწყებულა . ახლად დაბანაკებული ოთხიათასზე მეტია" (იქვე, გვ. 140) .გურიის სოფლების დაწიოკების ფაქტები აღწერილია „მოგზაურის" ფურცლებზე. ასე მაგალითად: „სოფ. ხვარბეთი. 25 მარტს ჩვენს სოფელს ყაზახ-რუსებმა ალყა შემოარტყეს. სოფლიდან გამოსვლის ნებას არავის აძლევდნენ. რამოდენიმე მოსახლე კაცი გაჩხრიკეს და ბევრი დაიჭირეს. დაიჭირეს შერმადინ გობრონიძე, რომელსაც რევოლვერი და ბერდანკა უნახეს, ორივე იარაღი რათქმაუნდა წაართვეს, მეორე დღეს გიორგი მარგალიტაძე დაიჭირეს, დაიჭირეს ასევე არსენ კეჭაყმაძე, რომელსაც ოზურგეთში ავადმყოფი მიჰყავდა ექიმთან. დაიჭირეს აგრეთვე ერთი ყმაწვილი ალექსი გობრონიძე და იფიქრეს ამას უსათუოდ ვათქმევინებთ ვინ არის ბუნტისთავიო, მაგრამ ვერავინ დაუსახელა... ამათ გარდა ბევრი გაჩხრიკეს, ჩვენ სოფელში, მარა დაჭერით არავინ დაუჭერიათ. 26 მარტს ძალით მოხადეს მურვანიძის ღვინით სავსე ჭური, თუმანოვს აფთიაქარს, პროვიზორს ფინია ძაღლი მოპარეს და როცა ამან ალიხანოვთან იჩივლა, უკანასკნელმა ასეთი „უაზრო" საჩივრისათვის ერთი კვირით ციხეში ჯდომა მიუსაჯა"..... ერთ აქტიურ გლეხს, ოზურგეთის ბაზარზე მიმავალს კაზაკმა მისცა მხოლოდ პატრონა ბერდენკა გექნება დამოიხმარეო. მანაც გამოართვა. ბოლოს აღარ მოეწონა ასეთი საქციელი და ნაჩუქარი პატრონები შორს გადაყარა. არგასულა ათიოდე წუთი, რომ იგივე კაზაკი ოთხი მისი ამხანაგი გადაუდგა. გაჩხრიკეს გლეხი იმიმედით, რომ ნაჩუქარ პატრონებს ვიპოვნით და რაიმე სარგებლობა შეიძლება ვნახოთო, მარა დახე მათ გაკვირვებას, როცა გლეხს აღარ აღმოაჩნდა. ეს ჩვენზე უხერხემლო ყოფილაო -ჩაილაპარაკეს ყაზახ-რუსებმა და გაბრუნდნენ." (ჟურნალი „მოგზაური" 14, 1905წ.)" სოფელ დვაბზუში აღნიშნავს იმავე ნომერი ჟურნალ მოგზაურისა ყაზახ რუსები დაეცნენ მედუქნეებს ორი რევოლვერი და ორი ბოთლი არაყი წაართვეს ერთ მგზავრს თუთუნიანი ქისა წაართვეს, ღვინიან ტიკში კი ხანჯალი უკრეს და ღვინო დაუღვარეს. ერთი სიტვით ასეთი ფაქტებით სავსეა გურიის დღევანდელი ცხოვრება .ხალხი, რომლის დამშვიდებასაც ალიხანოვი თავის რეპრესიულ ზომებს აღწევს, დღეს ასეთ უსამართლობა სითმენს, როგორ შეიძლება კაზაკების ასეთი თავაშვებული საქციელი ჯარის მთავარ-სარდალმა არ იცოდეს, მარა უეჭველად თითონაც თანაუგძნობს მოქმედებას .გურულებმა თავისი კეთილგონიერება მრავალ საქმეში დაამტკიცეს, მარა გურიის ცხოვრება იმასაც მოწმობს, რომ ამ ხალხს დაუსრულებელი მოთმინება არ ააქვს"...ამავე აზრს იზიარებს მოგზაურის 13 ნომერში გამოქვეყნებული კორესპოდენცია დაბა ნაგომრიდან: "27 მარტს ჩვენს დაბასაც ესტუმრნენ ყაზახი-რუსები და გენერალი ავარსკის ბრძანებით დაუწყეს ჩხრეკა დუქნებ სასახლებს, თუმცა ეგონათ ბევრს რამეს აღმოაჩენდნენ,მაგრამ მოტყუვდნენ ვერაფერი აკრძალული ვერ იპოვეს

ეს იყო საღამო ხანს . იმ ღამეს აქვე დარჩნენ. მხოლოდ ამ დროს დატრიალდნენ მცველი კაზაკები, დაერივნენ სოფლელებს, ვის ვერცხლის ქამარი მოსტაცეს და ვის საათი, წარმოიდგინეთ კვერცხებსაც კი იტაცებდნენ სახლებიდან, ეს ამბავი, თუმცა იმათ უფროსებს აცნობეს დამკარგავებმა, მაგრამ იმათგან რა სამართალს გამოიტანდნენ „(ჟურნალი „მოგზაური" 14 1905 გვ.147).

ოზურგეთში ალიხანოვის რაზმის შესვლამ და მისმა ქმედებებმა საპროტესტო მოქმედება გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები და კრებები. ხალხი დაჟინებით მოითხოვდა ჯარის გაყვანას გურიიდან. ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეცნობილი თუ რა განსაცდელის წი ნაშე იდგა გურია, ამიტომ რევოლუციური გურიის გადასარჩენად სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს საუკეთესო შვილები. კრებამ, რომელიც ამ საკითხს მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის წინადადებით აირჩია წარმომადგენლები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა წარსგომოდნენ მეფისნაცვალს და მტკიცედ მოეთხოვათ ალიხანოვის უკან გაწვევა. ამ კანონიერი მოთხოვნის შეუწყნარელობის შემთხვევაში "ჩვენ ყველამ უნდა ავდგეთ ,ავისხათ იარაღი და გურულებთან ერთად გავწყდეთ, ჩვენი ძვლებიც იმათთან უნდა ჩაყაროთო"-დასძენდა დიდი ილია" (ი.სიხარულიძე,"რევოლუციური გურიის დიდი ქომაგი" გაზ.ლენინის დროშა" 106.11 ნოემბერი 1962წ.) პროტესტმა გასჭრა ალიხანოვი შეაჩერეს. თავისმხრივ ფიცხიგურულები დიდწინდახედულობას იჩენდნენ. ამის შესახებ ჟურნალი „მოგზაური „ აღნიშნავდა გურულმ ახალხმა ,რომელიც ცნობილია როგორც გულფიცხი გამოიჩინა სამაგალითო მოთმინება მათ ერთხელაც არ უცდიათ რაიმეზე ძალმომრეობით ეპასუხათო. 1905 წლის ივლისში ალიხანოვი გურიიდან გაიწვიეს.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

პოეზია

შეერთდით, ქართველებო!

საქართველო და ერთობა მისი
იყოს ოცნება ყველასი, ჩვენი.
რად გაქვთ ფიქრები, ხალხო, სხვადასხვა,
ზოგს ცისფერი და ზოგს კიდევ ჭრელი.

მანამდე, სანამ მხარეს მშვენიერს,
ზურმუხტ მთა-გორებს კვლავ ჩვენი
ჰქვია.
სანამდე მტერი გაგვიღებს კარებს,
გაგვინადგურებს ქვეყანას მზიანს,

წაგვართმევს იმას, რაც კი ჩვენია,
შვაზე გაგვიყოფს ყველაფერს მთლიანს,
სჯობს, რომ ვილოცოთ გადარჩენისთვის,
ჯერ კიდევ დროა, არ არის გვიან.

მოძმეთა შორის მოკვდეს ღალატი,
შეწყდეს ქიშპობა, ლანძღვა და გმობა.
ახლა გვიშვილის მხოლოდ და მხოლოდ
სიყვარული და ერთიანობა.

მამულს დავუდგეთ ციხე-ბურჯებად,
ველარ დალეწონ მისი კარები.
გავერთიანდეთ საერთო მიზნით,
საქმე ვყოთ მტრის არგასახარები.

გვმართებს სიმტკიცე, შეუპოვრობა,
სხვებს არ დავუთმოთ ჩვენი ადგილი.
წინაპართ მსგავსად დიდსულოვნები,
მთების გმირები ვიყოთ ნამდვილი.

არ დაგვენანოს ერთმანეთისთვის
კეთილი სიტყვა, ნათელი მზერა,
თორემ ვინ იცის, შურით დაბოღმილთ,
რა გზით გვატარებს ჩვენ ბედისწერა.

ნანა ჯანხოთელი.

ხსოვნა

სოსო დოლიძის მონატრება



22 აგვისტოს ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. თუმცა, დრომ ვერაფერი დააკლო საწუთროდან შენი წასვლის ტკივილს.

გვენატრები, უსაშველოდ გვენატრები!

ოჯახში, ნათესავებში, მეგობრებში, ახლობლებში ვიხსენებთ და ვფურცლავთ წარსულს შენი 87-წლიანი ცხოვრებიდან და მისხალს ვერ ვპოულობთ ნაკლისა. შეუდარებელი მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა იყავი. საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩეოდი, როგორც კარგი ხელმძღანელი, უნარიანი ორგანიზატორი, სოფლის თავკაცი და ჭირისუფალი.

წარსულ დროში საუბრისთვის ვერ გიმეტებთ, წარსულის კაცი არასოდეს ყოფილხარ, ყოველთვის მომავლისკენ გეჭირა თვალი. შენს მშობლიურ თხინვალს არასოდეს დაავიწყდება სოფლისათვის შენ მიერ გაწეული ჯაფა და ჭაპანი.

შვილიშვილებისა და შვილთაშვილების საფიცარი კაცი ხარ და ამიტომ არასოდეს მოაკლდება შენს საფლავზე ქვაში ამეტყველებულ შენს თბილ პორტრეტს სანთელი და ყვავილები...

შენი **ოჯახი.**

მოდის შენი დაბადების დღე, 26 აგვისტო, უშენოდ. ჩემთვის კი უხალისოდ და ტკივილიანი მონატრებით

ამ დღეს დიდი სიყვარულით გილოცავდი ყოველთვის. ახლაც მოგილოცავ ჩემო ძამიკო, ჩემო გიორგი. მოვალ შენს საფლავზე. ყვავილებს მოგიტან. შენს სურათს მოვეფერები, საფლავს მოვეფერები. ძალიან მჭირდები, მენატრები. შენი დაკარგვა სამუდამოდ - ძალიან მიჭირს. მე ხომ განსაკუთრებით ძლიერი სიყვარული და დიდი იმედი მქონდა შენი. ახლა მოუშუშებელი ღრმა ჭრილობა მაქვს, რომელმაც გატეხა ჩემი ჯანმრთელობა და გააქრო სიხარულის შეგრძნება. ზოგჯერ სიზმარში მგონია თავი.

ჩემო ძამიკო, ჩემო სათაყვანო ადამიანო, ამ ქვეყნიდან რაც წახვედი ერთი დღეც არ მქონია შენზე ფიქრის გარეშე. შენთან გატარებულ დღეებს , წლებს ვიხსენებ, რითაც ბედნიერი ვარ, შენს სურათებს ვათვალიერებ, ვკითხულობ შენს წიგნებს, ვკითხულობ იმ წერილებს, რომლებიც ჩემი სტუდენტობისას გამომიგზავნე. ყველა შენახული მაქვს. ისინი ჩემთვის ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი და ყურადსაღები იყო და არის დღესაც, რადგან სიკეთის, კეთილშობილების, თავმდაბლობის, ცხოვრების გაკვეთილებს მაძლევდა. ყველაფერი ძვირფასია ჩემთვის, რაც შენ გიკავშირდება.

შენი ტელეფონის ნომერი და სახელი არც ჩემს ტელეფონში და არც ჩემს გულში არ ამოიშლება, სანამ ცოცხალი ვიქნები. ჩემი საფლავიც შენს გვერდით, ჩემს სოფელში ნაღობილევში იქნება, როცა ამ ქვეყნიდან წავალ. ვიცი ჩემი ოჯახი ამ სურვილს შემისრულებს .

შენ დიდი ძალა იყავი და ხარ ჩემს ცხოვრებაში. შენ შესძელი იმის კეთება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ქვეყნად, შენ შესძელი ადამიანად დარჩენა. ჩემო სიყვარულო, ჩემო ძამიკო, ჩემო გიორგი.

შენი დაიკო
მანანა კეჭაყმაძე

ფერისცვალების დღესასწაულს ვულოცავ გურიიდან მთელს საქართველოს!

დღევანდელი დღის მადლი და ძალა ფარავდეს ჩვენს ერს, რომელსაც უფლის შემწეობა და სიყვარული არასდროს მოჰკლებია! 19 აგვისტო გამორჩეული დღეა საქრისტიანოს იმ დღესასწაულთაგან, რომელსაც მართმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებით აღნიშნავს! სიმბოლურია, რომ ფერისცვალების ტაძარი გურულებისთვის გამორჩეულ და საყვარელ ადგილზე, ბახმაროში მდებარეობს! ამ დღეს საზეიმო ზარების რეკვა ზღვის დონიდან 2050 მეტრზე მთელს გურიას ესმის და სიხარულით ავსებს! გარწმუნებთ, რომ სამომავლოდ ჩვენ შევძლებთ, ჩემი და თქვენი ბახმარო უფრო მიმზიდველი და ფერშეცვლილი ნახოთ, ვიდრე დღესაა. ოპტიმიზმის საფუძველს ის დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები მაძლევს, რომლებიც აქ უკვე დაიწყო და კვლავაც გაგრძელდება. მოწესრიგდა კურორტის იერსახე, დაიდგა ახალი ევროსტანდარტების ბუნკერები. კურორტს ახალი ნაგავმზიდი ემსახურება. გაკეთდა სკვერი, საბავშვო ატრაქციონებით. ზამთრის სეზონისთვის კი გზა მუდმივად გაიწმინდება , რომელსაც ახალი ტექნიკით უზრუნველვყოფთ. ასევე, აქტიურად მიდის კურორტზე მიწისა და საცხოვრისის დაკანონების პროცედურები. საკუთრების უფლების აღიარების კომისია თითქმის 24 საათიან რეჟიმში მუშაობს, რომ მოსახლეობას ამ კუთხით შეფერხებები არ შეექმნას. ამავდროულად ლეგალიზაცია კანონის სრული დაცვითა და მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით მიმდინარეობს. გაწეული და დაგეგმილი სამუშაოების ფონზე მჯერა, რომ მომავალ ფერისცვალებას ბახმარო ინფრასტრუქტურულად განახლებული, ფერნაცვალი შეგვეგებება! სიხარული და წარმატება, სასიკეთო ფერიცვალება ყოფილიყოს საქართველოსა და გურიის თანმდევი! მრავალ ფერისცვალების დღესასწაულს დაესწარით!

პატივისცემით,

გურიის გუბერნატორი,

გია სალუქვაძე

სანადირო თოფების სისტემები

თოფები ლულის სახაზინო ნაწილიდან იტენება წინასწარ დამზადებული ვაზნებით.

სახაზინო გადატენვის თოფების უპირატესობა ზუმბიან თოფებთან შედარებით მდგომარეობს გადატენვის სისწრაფეში, შესაბამისად სროლის სიწრაფეში. აგრეთვე საბრძ-ოლო მასალების შენახვის გაადვილებაში.

გასასროლად გამზადებული ვაზნების რაოდენობის მიხედვით სანადირო თოფებს ყოფენ ერთვაზნიან ან ორვაზნიან; მრა-ვალვაზნიან ანუ მჭიდიან და თვითდამტენ ანუ ავტომატურ თოფებად.

სანადირო თოფების ტიპიურ ერთვაზნიან კონსტრუქციას ერთლულიანი (ან ორლულიანი) სახაზინო გადატენვის თოფი წარმოადგენს. ასეთ თოფებში გადატენვა ხელით ხდება.

მრავალვაზნიან ანუ მჭიდიან თოფებში მსროლელი გადატენვასა და ნასროლი ვაზნის ექსტრაქციას სპეციალური მექანიზმის საშუალებით ახდენს(საკეტის ან ტიბჟირის მოძრაობით).

თვითდამტენ თოფებში გადატენვა და ექსტრაქცია ავტომატურად ხდება უკ-უქცეული გაზების ან უკ-უცემის ენერგიის საშუა-ლებით

დამცემი სისტემის მიხედვით თოფები იყოფა შიდაჩახმახიან და გარეჩახმახიან თოფებად. თა-ვისმხრივ შიდაჩახმახიანი თოფები სასხლეტი მექანიზმის შეყენების მიხედვით 3 ჯგუფად იყოფა:

– ჩაქუჩებისა და საბრძოლო ზამბარის შეყენება ლულების დაშვებით;

– ჩაქუჩებისა და საბრძოლო ზამბარის შეყე-ნება ლულების დაკეტვით;

– ჩაქუჩებისა და საბრძოლო ზამბარის შეყ-ენება გასახსნელი ბერკ-ეტით;

დანიშნულების მიხედვით თოფები იყოფა 3 ჯგუფად: 1) სარეწაო ნადირობისათვის, 2) სამოყვარულო და სპო-რტული ნადირობისათვის და 3)სპორტული.

სარეწაო ნადირობისათვის განკუთვნილი თოფები თავის მხრივ იყოფა 2 სახეობად: მცირე ყალიბის და მსხვილი ყალიბის თოფებად.

მცირე ყალიბის თოფები შედარებით მსუბუქია(2,5-2,7 კგ). სავაზნე უფრო ხშირად 70მმ; ისინი 20, 24, 28 ან 32 ყალიბისაა. ლულათა შევიწროება არის ცილინდრი ან 0,25მმ (იშვიათად „პარადოქსი).

მსხვილი ყალიბის თოფები (12 და 16) გამოიყენება ფრინველთა გადაფრენებისას ნადირობაში. 12 ყალიბის გლუვლულიანი თოფი უნდა იწონიდეს საშუალოდ 3,2-3,7 კგ-ს, ხოლო 16 ყალიბის თოფი –3,0—3,2 კგ-ს. ასეთი თოფების ერთი ლულა (როგორც წესი მარჯვენა) ცილინდრი ან შევიწროებული ცილინდრია, ხოლო მეორე ლულა – ჩოკი ან გაძლიერებული ჩოკია.

მსხვილ ნადირზე სანადიროდ გამოიყენებენ 7,62, 10,4 და 121,7 მმ ყალიბის შტუცერებს, რომლებითაც სპეციალურ ტყვიებს ისვრიან. მისი წონა საშუალოდ 4,0 კგ-ს შეადგენს . მხსვილ ნად-ირზე აგრეთვე 8,9 და 10მმ ყალიბის კარაბინებითაც ნადირობენ. ზუსტი სროლის გაადვილების მიზნით მსხვილი ყალიბის თოფებს გააჩნიათ ოპტიკ-ური სამიზნე.

სპორტული ნადირობის პირობები განსხვავდება სარეწაო ნადირობის პირობებისაგან.

სპორტული სანადირო თოფები სარეწაო დანიშნულების თოფებისგან განსხვავდება გრავირების მაღალი ხარის-ხითა და დახვეწილი ფორ-მებით, რაც თავისთავად მათ ღირებულებაშიც აისახება. ნადირობის სახეობის მიხედვით თოფების მოდელები და სისტემები განსხვავებულია.

სპორტული ნადირობისათვის ყველა ყალიბის იარაღი გამოიყება(10 ყალიბიდან 32-მდე). სპორტული ნადირობისათვის განკუთვნილ თოფებს 2 ჯგუფად ყოფენ: ნორმალური წონის თოფები და მძიმე თოფები ანუ მაგნუმები.

პირველ ჯგუფში შედის 12, 16 და 20 ყალიბის თოფები, ხოლო მეორეში 12 და 16 (ეს უკანასკნელი ყალიბი მაგნუმებში ძალიან იშვიათად გვხვდება).

ნორმალური წონის თოფები შეადგენს: 12 ყალიბში 3,0-3,2 კგ; 16 ყალიბში 2,8-3,0 კგ; 20 ყალიბში 2,6-2,8კგ.

სპორტული სანადირო მაგნუმების წონა შეადგენს: 12 ყალიბში 3,5-4,0 კგ; 16 ყალიბში 3,3-3,5 კგ;

სპორტული თოფები იყოფა: სასანგრე სტენდისათვის განკუთვნილ და მრგვალი სტენდისათვის განკუთვნილ თოფებად.

სასანგრე სტენდის თოფების ყალიბია 12, წონა 3,3-3,7 კგ, ლულის სიგრძე 73-დან 76 სმ-მდე, ორთავე ლულა სრული ჩოკის შევიწროებისაა. ასეთ თოფებისადმი წაყენებული მოთხოვნებია: დიდი სიბურჯღლე, ჭრა, დაჯგუფება, საუკეთესო ბალანსი და მორგებულობა. 35 მეტრში 80 სმ დია-მეტრის სამიზნეზე 36 გრამი ჭურვის გასროლისას ასეთმა თოფმა უნდა მიიტანოს არანაკლებ 270-285 ცალი 7 საფანტი.

აუცილებელი პირობაა ასეთი თოფების მექანიზმში ინტერსეპტორის არსებობა და არაავტომატური მცველი.

სასანგრე სტენდისათვის განკუთვნილი ყველა თოფი საცალო შესრულებისაა. როგორც წესი მათ სარტყელის საკიდი რგოლები არ გააჩნიათ

მრგვალი სტენდისათვის განკუთვნილი თოფების ყალიბია 12, წონა 3,2-3,4 კგ, ლულის სიგრძე 65,1 სმ. მარჯვენა(ან ქვედა) ლულა გაუმჯობესებული ცილინდრი, ხოლო მარცხენა(ან ზედა) ცილინდრი.

35 მეტრში 80 სმ დიამეტრის სამიზნეზე 36 გრამი ჭურვის გასროლისას ასეთი თოფის მარჯვენა(ან ქვედა) ლულამ უნდა მიიტანოს არანაკლებ 200 ცალი 7 საფანტი, ხოლო მარცხენა(ან ზედა) ლულამ კი 125-135 ცალი.

ყველა სხვა მახასიათებელი მრგვალი და სასანგრე სტენდის თოფებს ერთნაირი აქვთ.

მოამზადა

გელა ჩავლეშვილმა

7 დღის ამინდის პროგნოზი

ელ-ჭექი, +18+27	მზე +18+32	მზე +18+34	ელ-ჭექი, +19+32	მზე +20+28	ელ-ჭექი, +19+26	წვიმა +19+23
17 აგვისტო ორშაბათი	18 აგვისტო სამშაბათი	19 აგვისტო ოთხშაბათი	20 აგვისტო ხუთშაბათი	21 აგვისტო პარასკევი	22 აგვისტო შაბათი	23 აგვისტო კვირა